

ელენე ენუქიძე

Budapest Metropolitan University, Hungary

კავკასიის ბიზნესის სკოლა

„კავკასიის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამით ჯერ კიდევ აბიტურიენტობისას დავინტერესდი, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემს სამომავლო არჩევანზე. მიუხედავად იმისა, რომ ერაზმუსისთვის პირველივე კურსიდან ვემზადებოდი და გააზრებული მქონდა, რომ კარგი სწავლის შემთხვევაში ერთ სემესტრს საზღვარგარეთ გავატარებდი, ოჯახისა და მეგობრებისგან მოშორებით, უცხო ქვეყანაში დამოუკიდებლად ცხოვრება მაინც საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

ძალიან გამიმართლა Erasmus+ ის მიმღებ უნივერსიტეტში, რადგან ის არამარტო კარგად სწავლაზე, არამედ სტუდენტების დაახლოებასა და team building აქტივობებზეც იყო კონცენტრირებული, ამიტომაც სასწავლო პროცესის დაწყებამდე ჩემს მომავალ ჯგუფელებს პირველად უნივერსიტეტის ერთ-ერთ ივენთზე Welcome Day-ზე შევხვდი. Team building თამაშები, პიკნიკი, სპორტული შეჯიბრებები, უამრავი წამახალისებელი პრიზი და ბოლოს 3 საათიანი კრუიზი დუნაიზე სტუდენტებთან ერთად, რომლებიც საქართველოში დაბრუნების მიუხედავად, დღესაც ჩემი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ეს ნამდვილად იყო საუკეთესო სემესტრის საუკეთესო დასაწყისი.

სწავლების მეთოდი METU-სა და CU-ის შორის გარკვეულწილად განსხვავებული იყო, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სემესტრი წარმატებით დამესრულებინა. უფრო მეტიც, ვცდილობდი საკმაოდ აქტიური სტუდენტი ვყოფილიყავი, რასაც უნგრელი ლექტორები ძალიან დადებითად აფასებდნენ.

პროგრამის დასასრულს კი, ვფიქრობ, რომ ეს არის შანსი, რომელიც ხელიდან არცერთმა სტუდენტმა არ უნდა გაუშვას, ამის მიზეზების სია საკმაოდ ვრცელია.

ეს არის შესაძლებლობა უკეთ გაიცნო საკუთარი თავი, უკეთ აღმოაჩინო შენი სუსტი და ძლიერი მხარეები, შეისწავლო ახალი ენა და კულტურა, შეხვდე უამრავ საინტერესო ადამიანს, შეიძინო ახალი მეგობრები, იმოგზაურო და განვითარდე, როგორც კარიერულად, ასევე პიროვნულად.”